*ა.ი.პ "საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანება"*
*ქ. თბილისი 0177, ვაჟა- ფშაველას გამზ. N 33*
**www.ugma.ge**

Advancing Patient Safety and Healthcare Quality Globally

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის
პირველ მოადგილეს,

ქალ. თამარ გაბუნიას

ქალ თამარ,

გაცნობებთ, რომ ა.წ. 24 აპრილს გაიმართა სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების ონლაინ შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა COVID-19 ინფექციასთან დაკავშირებული საკითხები. სხვადასხვა პროფესიული ასოციაციების ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მრავალი მოსაზრების საფუძველზე, მიღებული იქნა ერთობლივი განცხადება.

განცხადება

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველომ ეფექტიანად და დროულად განახორციელა კომპლექსური ღონისძიებები ახალი კორონა ვირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შეკავებისა და გავრცელების დაყოვნების მიმართულებით. მოხარული ვართ, რომ მიღწეული შედეგები სათანადოდ შეფასდა საზოგადოების მხრიდანაც.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ქვეყანას სხვა გამოწვევებიც უდგას, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოსა და სამედიცინო პროფესიული საზოგადოებების მეტი კონსოლიდაცია, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში მოხდეს ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების პერმანენტული გატარება, კერძოდ, მასობრივი ტესტირება, კონტაქტების შესწავლა/იზოლაცია და ამავე დროს, განხორციელდეს უშუალოდ დაავადების ეფექტიანი მართვა და მკურნალობა ყველა დონეზე.

დღეს სამედიცინო დაწესებულებები კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ, ვიდრე ეს იყო ორი-სამი თვის წინ. აქედან გამომდინარე, საჭიროა უფრო მასშტაბური და გრძელვადიანი განვითარების გეგმების დასახვა და აღსრულება.

გაერთიანება გამოდის ინიციატივით, სახელმწიფოს მიერ მოხდეს კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რაც უშუალოდ აისახება COVID-19 ის წინააღმდეგ მობილიზებული სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერისადმი მიმართულ აქტივობებში.

კერძოდ:

1. პირველ რიგში, მოხდეს ყველა სამედიცინო დაწესებულების სრულად აღჭურვა პერსონალური დაცვის საშუალებებით, ამასთან - ყველა პაციენტი უნდა განიხილებოდეს, როგორც პოტენციური COVID-19-ით ინფიცირებული.
2. გაერთიანება მიმართავს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, მკურნალობის მეთოდების განხილვა მოხდეს შესაბამის სამედიცინო, პროფესიულ პლატფორმებზე. ვინაიდან ჯერ-ჯერობით არ არსებობს COVID-19-ის საყოველთაოდ აღიარებული (მტკიცებულებაზე დაფუძნებული) მკურნალობის მეთოდები, საჯარო კლინიკური დისკუსიები მოსახლეობაში არასწორი დასკვნების გაკეთებას უწყობს ხელს. ზოგ შემთხვევაში მკურნალობის მეთოდების განხილვები გადაიქცა კონკრეტული ექიმების წინააღმდეგ მიმართულ მიზანმიმართულ კამპანიად. სამედიცინო ასოციაციების გაერთიანება COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტების მკურნალობაში ჩართულ სპეციალისტებს სთავაზობს ონლაინ პლატფორმას, სადაც დარგის ექსპერტებსა და პროფესიულ თემს შეეძლება მსჯელობა დაავადების დიაგნოსტიკის, კლინიკური მართვის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შესახებ.
3. არ უნდა შეფერხდეს მრავალი ადამიანის სამედიცინო დახმარება. ამ მიზნით, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციით, მიზანშეწონილია დაუყოვნებლად მოხდეს COVID-19 პანდემიის დროს პაციენტების მართვის ინსტრუქციების დამტკიცება ე.წ. Guidance და არა - Guideline, სადაც მოცემული იქნება რეკომენდაციები პანდემიის პირობებში გეგმიური პროცედურების მაქსიმალურად გადავადების და ამავე დროს, გამოიყოფა ნოზოლოგიები, რომელთა მკურნალობის გადავადება მიზანშეწონილი არ იქნება.
4. ეპიდემიასთან ბრძოლაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების ყველა რგოლის სამედიცინო პერსონალისთვის, მათ შორის, კლინიკების ეპიდემიოლოგებისთვის, უნდა მოხდეს მიზნობრივი დანამატების განსაზღვრა, რომელიც მათი სახელფასო განაკვეთების გაზრდას მოემსახურება. ასევე უნდა განიხილებოდეს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაინფიცირებული ექიმებზე კომპენსაციის გაცემის საკითხები. ამასთან, აღნიშნული აქტივობები მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა განხორციელდეს.
5. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კომპენსაციები იმ სამედიცინო პერსონალისთვის, რომლებიც COVID-19-ის სამართავად მობილიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას ვეღარ ახერხებენ, რადგან აღნიშნულ კლინიკებში სხვა სერვისების მიწოდება შეჩერებულია.

გაერთიანება მოუწოდებს სახელმწიფოს, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა მოხდეს მაქსიმალურად გამჭვირვალედ და სამედიცინო ასოციაციების ჩართულობითა და მონაწილეობით.

თიანების გამგეობის თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი

ნ. ოკრიბელაშვილი

აღმასრულებელი მდივანი
არჩილ მორჩილაძე

ა. მ